

პრისტალიზაცია—შესწავლის ბეგმები
იქსო ნავას ძის, მსაჯულთა, რუთის ჭიგნების

ძირითადი საპითხები

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ქანაანის მიწას
აქვს ორმაგი მნიშვნელობა წინასახების სისტემაში:
დადებითი მხრივ, ქანაანი არის წინასახე
ყოვლისმომცველი ქრისტესი აურაცხელი სიმდიდრით,
ხოლო უარყოფითი მხრივ, ქანაანი აღნიშნავს ზეციურ ნაწილს
სატანის ბნელი სამეფოსი მის სატანურ ძალებთან ერთად.

იმისათვის, რომ მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე და დავეუფლოთ მას
როგორც ყოვლისმომცველ მიწას დმერთის ნაგებობისათვის,
ჩვენ უნდა ვისწავლოთ, ნება მივცეთ უფლის
პირდაპირ, უშუალო თანდასწრებას, შეგვინახოს,
გვმართოს, გვიხელმძღვანელოს და მიმართულება მოგვცეს;
თუ ჩვენ გვაქვს უფლის თანდასწრება,
ჩვენ გვაქვს სიბრძნე, გამჭრიახობა, წინასწარგანჭვრეტა
და შინაგანი ცოდნა სხვადახვა საკითხთან დაკავშირებით;
უფლის თანდასწრება არის ყველაფერი ჩვენთვის.

ჩვენ უნდა თავი დაგადწიოთ უკანონობას
და იმას, რომ ვიყოთ უკანონობის ჩამდენი,
გავაკეთოთ ის, რაც სწორია დმერთის თვალში,
დავემორჩილოთ დმერთის მსახურების პრინციპს,
და გავიმარჯვოთ სატანურ ქაოსზე ძელ ქმნილებაში
და განვახორციელოთ დვთაებრივი სახლმშენებლობა
ახალი ქმნილებისათვის.

იმისათვის, რომ ვიყოთ ნორმალური ქრისტიანი,
ვიყოთ ერთ-ერთი დღევანდელი გამარჯვებულებიდან,
ვუპასუხოთ უფლის დღევანდელ მოწოდებას
და დავაკმაყოფილოთ მისი დღევანდელი საჭიროება მის აღდგენაში,
ჩვენ უნდა ვიყოთ დღევანდელი რუთი —
მივბრუნდეთ დმერთის სახლმშენებლობისაკენ,
შევიდეთ ემანუელის მიწაზე და დავქორწინდეთ ქრისტეზე,
რათა ვშვათ ქრისტე, რომ დავაკმაყოფილოთ დღევანდელი საჭიროება
დმერთისა და ადამიანისა.

**დაფარული, სიღრმისეული მნიშვნელობა
იქსო ნავეს ძის წიგნის, მსაჯულთა წიგნის და რუთის წიგნისა**

1. ძველი აღთქმის ისტორიისა და წინასწარმეტყველების შესწავლისას, ჩვენ გვჭირდება მთელი წერილის სრული მოცულობა და ყოველმხრივი სურათი ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის შესახებ ქრისტესთან და ეკლესიასთან დაკავშირებით, რაც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში. ეს დაგვანახებს ჩვენ არა მარტო ფართო ხედვას, არამედ ასევე უფრო ღრმა, სიღრმისეულ მნიშვნელობას ღმერთის განზრახვისა, ჩვენთვის ძველი აღთქმის ისტორიებისა და წინასწარმეტყველებებს წარდგენისას. მიზანი, ცენტრი და სიღრმისეული მნიშვნელობა ძველი აღთქმისეული ყველა ისტორიისა და წინასწარმეტყველებისა უნდა იყოს ქრისტე და მისი სხეული, რომელიც საბოლოოდ მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში ღმერთის მარადიული სახლმშენებლობისათვის.
2. თავისი მარადიული სახლმშენებლობის განხორციელებისათვის ღმერთს სჭირდებოდა, შეექმნა ზეცანი დედამიწისათვის და დედამიწა ადამიანისათვის (ზაქ. 12:1). ღმერთმა შეექმნა ადამიანი თავის სახებად და თავის მსგავსად სულით, რომ ადამიანს შეძლებოდა ღმერთან შეხება, მისი მიღება, მისი შენახვა და მისი როგორც თავისი სიცოცხლის და თავისი შემცველობის მიღება. სამწუხაროდ, ეს ადამიანი დაშორდა ღმერთსა და ღმერთის ჩანაფიქრს ღმერთის სახლმშენებლობისათვის. შემდეგ დაცემული კაცობრიობიდან ღმერთმა ამოირჩია ადამიანი სახელად აბრაამი და მისი შთამომავლები და გახადა ისინი განსაკუთრებული ხალხი, თავისი ძვირფასი რჩეულები ყველა ერიდან (წარმართებიდან). ღმერთს დასჭირდა ოთხას წელზე მეტი, რათა წარმოექმნა, შეედგინა და ჩამოეყალინებინა ასეთი რჩეული ხალხი, რომ შეეცვალა ადამის მოდგმა ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის შესასრულებლად. ღმერთმა გაატარა თავისი რჩეული ხალხი გამოცდებში, ტანჯვებში უგვიპტეშიც და უდაბნოშიც, რათა ისინი ყოფილიყვნენ განსწავლულნი, აღზრდილნი და შეძლებოდათ კოორდინაცია მასთან იმ საკითხში, რომ მოეპოვებინათ ღმერთის მიერ დაპირებული მიწა ქრისტესათვის დედმიწაზე და წარმოექმნათ სათანადო ადამიანები ქრისტეს დაბადებისათვის კაცობრიობაში. ღმერთის მიერ დაპირებული მიწის მოპოვება ქრისტესათვის და სათანადო ადამიანების წარმოქმნა ქრისტეს დაბადებისათვის კაცობრიობაში – არის ორი ძირითადი თემა ძველი აღთქმისეული ისტორიის განყოფილებისა სამ წიგნში: იქსო ნავეს ძის წიგნში, მსაჯულთა წიგნში და რუთის წიგნში. ეს ორი მთავარი თემა – მიწის მოპოვება ქრისტესათვის და ქრისტეს სათანადო წინაპრების წარმოქმნა – არის ისტორიის სული ამ წიგნებში, მოყოლებული იქსო ნავეს ძის წიგნიდან რუთის წიგნამდე. ისინი წარმოადგენენ დაფარულ, სიღრმისეულ მნიშვნელობას ძველი აღთქმის ისტორიის ამ განყოფილებისა. ჩვენ გვჭირდება ნათელი ხედვა ამასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი შესწავლა-კრისტალიზაცია ამ სამი წიგნისა იქნება ამაო და არაფრით არ განსხვავდება ამ წიგნების შესწავლისაგან მრავალი ისტორიკოსის, ბიბლიის მკვლევარისა და წერილის მასწავლების მიერ, იქნებიან ისინი იუდეველები თუ ქრისტიანები.
3. თუ უფლის წყალობით ჩვენ ვიხილავთ ასეთ ხილვას, მაშინ ეს განყოფილება ძველი აღთქმისეული ისტორიისა მოგვიტანს ჩვენ არანაკლებ სარგებელს, ვიდრე ახალი აღთქმა. ასეთი ხილვა დაგეხმარება, დავინახოთ, რომ ისტორია ღმერთის

ხალხისა დედამიწაზე – არის, არსებითად, ისტორია მომუშავე ღმერთის, რომელიც ავლენს თავის ენერგიას თავის რჩეულ ხალს შორის ძველ აღთქმაში, და მოქმედი ღმერთის ისტორიაც კი, რომელიც ავლენს თავის ენერგიას თავის გამოსყიდულ ადამიანებში და აღმრავს მათ, დაიმუხტონ ენერგიით მასთან ერთად მისი მარადიული სახლმშენებლობის განხორციელებისათვის ქრისტესთან და მის გადიდებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში. მე ვიმედოვნებ, რომ ამ სწავლების წყალობით ჩვენ ყველანი შევძლებთ, დაგინახოთ და გავიგოთ, რომ ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოველდღიური სვლა, ჩვენი სწავლა, ჩვენი მუშაობა და ჩვენი ბიზნესი – ეს ყველაფერი უნდა იყოს ნაწილი ღმერთის ისტორიისა მის შესანიშნავ და აღმატებულ მოძრაობაში დედამიწაზე დღეს. იმისათვის, რომ ვიყოთ ნორმალური ქრისტიანი, ვიყოთ ერთ-ერთი დღევანდელ გამარჯვებულებს შორის, რომ ვუპასუხოთ უფლის დღევანდელ მოწოდებას და დავაკმაყოფილოთ უფლის დღევანდელი საჭიროება მის აღდგენაში, სრულიად არ არის საქმარისი, უბრალოდ ვიყოთ ე.წ. კარგი ძმა ან კარგი და – რეგულარულად დავესწროთ ეკლესიის კრებებს, კარგად მოვიქცეთ და ვიცხოვროთ ისეთი სიცოცხლით, რომელიც ადამიანებს შეუძლიათ ჩათვალონ სრულყოფილად. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი ღმერთობა მის ისტორიაში, იმაში, თუ როგორ მოძრაობს ის თავის მოყვარულ გამარჯვებულებში და აძლევს მათ ენერგიას, – სიცოცხლეში, ცხოვრებასა და ყველაფერში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ დღეს დედამიწაზე! ჩვენ უნდა დავწეროთ ღმერთის დღევანდელი ისტორია! ჩვენ მწყობრი ნაბიჯით უნდა ვიაროთ ერთობაში ენერგიის მომნიჭებულ ღმერთობა! მასში! მასთან ერთად! მისით! და მისთვის! ჩვენ უნდა ვიყოთ სიცოცხლით სავსენი! ცოცხლები! ქმედითები! ჩვენ უნდა ვიყოთ დღევანდელი იესო ნავეს ძე და ქალები, რათა მოვიპოვოთ ღმერთის მიერ დაპირებული მიწა ქრისტესათვის, რათა გავხდეთ მისი სამფლობელო! ჩვენ უნდა ვიყოთ დღევანდელი რუთი, რომ შევბრუნდეთ ღმერთის სახლმშენებლობისაკენ, შევიდეთ ემანუელის მიწაზე და დავქორწინდეთ ქრისტე, რათა ვშვათ ქრისტე ადამიანების დღევანდელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ეს უნდა იყოს სიღრმისეული მნიშვნელობა ამ სამი წიგნისა – იესო ნავეს ძის წიგნისა, მსაჯულთა წიგნისა და რუთის წიგნისა. ამ სწავლების შედეგი უნდა იყოს მოპოვება ღმერთის მიერ დაპირებული მიწისა ქრისტესათვის და დაბადება აღმატებული ქრისტესი, რათა დაკმაყოფილდეს ღმერთისა და ადამიანის დღევანდელი საჭიროება.

შეტყობინება პირველი

ბრძანება, დაპირება და შთაგონება ღმერთისა იესო ნავეს ძისათვის

ადგილები წერილიდან: იესო ნ. 1:1-9

I. იესო ნავეს ძე არის წინასახე ქრისტესი შემდეგ ასპექტებში:

- a. ბერძნული ექვივალენტი ებრაული სახელისა „იეჰოშუა“ (იესო ნავეს ძის სახელი ებრაულად) – არის „იესო“ (ებრ. 4:8; სამქ. 7:45), რაც ნიშნავს „იეჰოვა მხესხელს“, ანუ „იეჰოვას გადარჩენას“ (მათე 1:21; რიცხ. 13:16):
 1. ქრისტე როგორც ჩვენი ბელადი – არის ჩვენი ნამდვილი იესო ნავეს ძე როგორც ჩვენი გადარჩენის წინამდლოლი (ებრ. 2:10; 4:8), რომელსაც მივყავართ ჩვენ ღმერთის მიერ დაპირებული მიწის დიდებასა და მოსვენებაში, რაც დაკავშირებულია ქრისტესთან, როგორც ჩვენს სრულყოფილ მშვიდობასთან და სრულ დაკმაყოფილებასთან (2:10; 4:11; რჯლ. 12:9; მათე 11:28-30).
 2. იესო ნავეს ძე არის წინასახე ქრისტესი, როგორც მადლის შემცვლელი კანონის, რომლის წინასახესაც წარმოადგენს მოსე (იესო ნ. 1:2ა; იოანე 1:17); იესო გამოვიდა პირველ ხაზზე მოსეს, კანონდებლის, სიკვდილის შემდეგ, რათა წინ გაძლოლოდა ხალხს კეთილ მიწაზე (იესო ნ. 1:14); ის არის წინასახე უფალ იესოსი როგორც ჩვენი ბელადის, რომელსაც შევყავართ ჩვენ თავისი თავით, როგორც ჩვენი მოსვენებით, როგორც კეთილი მიწის სინამდვილით, ტკბობაში (რჯლ. 8:7-10; 12:9; ფილიპ. 1:19; ეფე. 3:8; კოლ. 1:12; 2:6-7; ებრ. 4:8-9; მათე 11:28-29).
- b. რაც შეეხება ყამალიკთან ომს (გამ. 17:8-16), ყამალეკი არის წინასახე ხორცის, როგორც დაცემული ძველი კაცის ერთობლიობის; იესო ნავეს ძე არის წინასახე დღევანდელი და პრაქტიკული ქრისტესი, როგორც ჩვენში მცხოვრები მებრძოლი სულისა, მისი, ვინც იბრძვის ხორცთან და აკვდინებს მას (რომ. 8:9-13; გალ. 5:16-17, 24):
 1. ხორცის მიზანია – ხელი შეგვიშალოს ჩვენ, რომ შევიდეთ ყოვლისმომცველი ქრისტეთი, როგორც ჩვენი კეთილი მიწით, სრულ ტკბობაში.
 2. ღმერთის სახლმშენებლობა გვიხსნის ჩვენ ხორცისაგან და მივყავართ სულთან, რათა მონაწილეობა მივიღოთ სამერთიანი ღმერთის სიმდიდრით კურთხევაში – რომ. 7:17-8:2; გალ. 3:14; ეფე. 1:3-14.
- c. ორმოცი წლის ასაკში იესო ნავეს ძე შეუერთდა ქალებს (ესენი არიან ორნი თორმეტი მზვერავიდან; ესენი არიან ისინი, ვისი გულებიც მთლიანად სავსე იყო რწმენით მათ მიერ ღმერთის სიტყვის, როგორც მათი რწმენის, მიღებით) იმ მიზნით, რომ იზრუნონ ღმერთის ინტერესებზე, რომელიც არის ის, რომ ღმერთის ხალხმა მოიპოვოს კეთილი მიწა; მხოლოდ ორმა გამარჯვებულმა ღმერთის გამოსყიდული ხალხიდან უდაბნოში – იესო ნავეს ძემ და ქალებმა – მიიღეს ჯილდოდ კეთილი მიწა – რიცხ. 13:30; 14:6-9, 27-30; რომ. 10:17; გალ. 3:3, 5; ებრ. 11:5-6; ფილიპ. 3:13-14; შდრ. საქმე. 6:5:

1. რიცხვნის წიგნის მე-13 და მე-14 თავებში მოთხრობილის თანახმად, ისრაელის ხალხს ჰქონდა ურწმუნოების ბოროტი გული; იესო და ქალები შეაგონებდნენ და აფრთხილებდნენ ხალხს, ეუბნებოდნენ: „ნუ ამბოხებით იგჼოგას წინააღმდეგ“ (მუხ. 9); ეს სიტყვები მიუთითებენ იმაზე, რომ უფლის არ რწმენა ნიშნავს ამბოხს მის წინააღმდეგ – რიცხ. 13:31-33; 14:1-3, 6-11; რჯლ. 1:26, 32.
2. თუ ჩვენ ვაპირებთ, მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე, როგორც კეთილი მიწა, ჩვენ უნდა ვთხოვოთ უფალს, გადაგვარჩინოს იმისაგან, რომ გვქონდეს ბოროტი გული ურწმუნოებისა; რადგან გვაქს ასეთი მკაცრი გული, ჩვენ ვშორდებით, ვცილდებით, ცოცხალ ღმერთს – მუხ. 25-26, 28, 35-39; 9:23; საქმე. 6:5ა; ებრ. 3:7-13.
3. ჩვენი ქრისტიანული სვლა ხორციელდება რწმენით, და არა ხილვით (2 კორ. 5:7), ამიტომ ჩვენ უნდა მუდმივად შევბრუნდეთ იესოსაკენ, ჩვენი რწმენის დამწყებისა და დამსრულებლისაკენ (ებრ. 12:1-2); ჩვენი რწმენა არ არის ჩვენგან, არამედ მისგან, ვინც დებს თავის თავს როგორც რწმენის ელემენტს ჩვენში, რათა სწამდეს ჩვენ ნაცვლად (გალ. 2:20; 2 პეტ. 1:1).
4. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქრისტიანისათვის ურწმუნოება არის უდიდესი ცოდვა; თუ ჩვენ მყარად ჩავეჭიდებით ღმერთის სიტყვას და გვექნება ღმერთის სიტყვის რწმენა, ყველაფერი კარგად იქნება; როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი გრძნობებით და არ ვავარჯიშებთ ჩვენი რწმენის სულს და არ ვაბრუნებთ ჩვენს გულს უფლისაკენ, რათა გვწამდეს ღვთაებრივი ფაქტები ღმერთის სიტყვაში, რომლებიც არის ჩვენთვის მისი აღოქმა, მისი ნება, ჩვენ ვჯანყობთ ღმერთის სიტყვის წინააღმდეგ, შეურაცხველოფთ ღმერთს და ვხდით მას მატყუარად – რჯლ. 1:25-26; ებრ. 3:12, 16-19; 4:2, 6; 11:1; რომ. 3:4.
5. ჩვენ არ უნდა ვიყოთ მუქარის ქვეშ და არ უნდა შეგვეშინდეს ჩვენი დარწმუნების, გრძნობებისა და გარემოცვის ღრუბლებისა; ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ახალი აღთმის მოქმედების ქვეშ და არ უნდა გვჯეროდეს რაიმე მარცხის, სისუსტის, სიბნელის ან რაიმე უარყოფითის; ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებმაც დადეს აღოქმა, და ნებისმიერი სიტუაციისათვის ჩვენ გვაქვს ესა თუ ის მუხლი, რომელშიც არის დაპირება – დაბ. 9:8-17; გამოცხ. 4:2-3; გოდ. 3:22-23; რომ. 8:1; 2 კორ. 12:9; 2 ტიმ. 1:10; 2:1; ოუდა 24; 1 ოანე 1:9; 1 კორ. 1:9.
6. ჩვენი სული არის „ბანკის ანგარიში“, აღმდგარი, პნევმატური ქრისტესი, როგორც სინამდვილის ყოველივე დასრულებულისა ახალ აღთქმაში; სიცოცხლის სულის კანონის მეშვეობით ყველაფერი აღთქმული რიგდება ჩვენში და ხდება ნამდვილი ჩვენთვის; ვინაიდან ეკლესის ადამიანები – არიან ადამიანები აღთქმის ქვეშ, ჩვენ შეიძლება ფაქტიურად გვეწოდოს აღთქმის ეკლესია – ეს. 42:6; 49:8; რომ. 8:2, 10, 6, 11, 16; ებრ. 8:10; ოანე 16:13.

II. „წინ გერავინ დაგიდგება მთელი შენი სიცოცხლე; როგორც მოსესთან ვიყავი, ისე ვიქნები შენთანაც; არ მიგატოვებ და თავს არ დაგანებებ. იყავი მტკიცე და გაბედული, რადგან შენ დაუნაწილებ ამ ხალხს მიწას, რომელიც შევფიცე მათ მამებს მათვის მისაცემად. ოლონდ განმტკიცდი და ძალზედ გამხნევდი, რათა დაიცვა აღსასრულებლად მთელი რჯული, რომელიც გამცნო მოსემ, ჩემმა მსახურმა; ნუ გადაუხვევ მისგან ნურც მარცხნივ და ნურც მარჯვნივ, რათა წარმატებას მიაღწიო ყველგან, სადაც მიხვალ“ – იქსო 6. 15-7:

- ა. ის, რომ იგპოვამ უთხრა იქსო ნავეს ქეს, რომ როგორც ის იყო მოსესთან, ასევე იქნებოდა მათთან, იყო რაღაც დიადი; რაღაც მომენტში უფალმა უთხრა მოსეს: „ჩემი თანდასწრება წამოგყვება შენ, და მე მოგასვენებ შენ“ (გამ. 33:14); ვინაიდან მოსე იყო ადამიანი, ძალიან ახლოს დმერთის გულთან, ადამიანი დმერთის გულის თანახმად, მას ჰქონდა დმერთის თანდასწრება სრული ზომით.
- ბ. ახალ აღთქმაში იქსოს თანდასწრება არის ემანუელი, რაც აღნიშნავს „დმერთი ჩვენთან (მათე 1:23; 18:20; 28:20); ქრისტე, როგორც სინამდვილის სული, მაცოცხლებელი სული, – არის ემანუელი, დვთაებრივი სამების თანდასწრება ჩვენს სულში (2 ტიმ. 4:22).
- გ. ჩვენ მუდმივად უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი რწმენის სული, რათა განვმტკიცდეთ და ვიყოთ ძალიან მამაცები იმ მიზნით, რომ დავტკბეთ ყოვლისმომცემი ქრისტეთი, რომელსაც აღნიშნავს კეთილი მიწა, როგორც ჩვენი გადარჩენის საწინდარი დღეს, და ის არის ნიმუში ჩვენი სრული და მარადიული მემკვიდრეობისა – საოცარი ქრისტესი მომავალ საუკუნეში და მარადისობაში – 2 კორ. 4:13; ეფეს. 1:14, 18; 2 კორ. 1:22; 5:5-6ა.
- დ. ჩვენ უნდა მივიღოთ უფალი, როგორც ჩვენი ციხე-სიმაგრე და ჩვენი სიმამაცე, რათა განვადიდოთ ქრისტე ნებისმიერ ვითარებაში, ანუ განვიცადოთ ის უმაღლესი ტქბობით (ფილიპ. 1:20; 4:11-13); ჩვენ შეგვიძლია ყოველთვის განვაცხადოთ: „იგპოვა – ჩემი სინათლე და ჩემი გადარჩენა; ვისი უნდა მეშინოდეს? იგპოვა ჩემი სიცოცხლის ციხესიმაგრე; ვინ შემაძრწუნებს?“ – ფსალ. 27:1.
- ე. ოდესდაც ჩვენზე მეფობდა სიკვდილი (რომ. 5:14) და ჩვენ ვიყავით მის მონობაში, მუდმივად განვიცდიდით შიშს სიკვდილის წინაშე; ვინაიდან უფალმა გაანადგურა ეშმაკი და გააუქმა სიკვდილი (ებრ. 2:14-15; 2 ტიმ. 1:10), ახლა ჩვენ უკვე აღარ განვიცდით შიშს სიკვდილის წინაშე და განთავისუფლებულნი ვართ მისი მონობისაგან.
- ვ. „იგპოვა არ მიატოვებს თავის ხალხს და არ დატოვებს თავის მემკვიდრეობას“ (ფსალ. 94:14); „უფალო, შენ ხარ ჩემი დამხმარე, და მე არ შემეშინდება. რას დამაკლებს ადამიანი?“ (ებრ. 13:6); „თუ დმერთი ჩვენკენ არის, ვის შეუძლია იყოს ჩვენ წინააღმდეგ?“ (რომ. 8:31).
- ზ. ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც აღვივებს ჩევნთვის დმერთის მიერ მოცემულ სულს – არა შიშის სულს, არამედ ძალის, სიყვარულისა და კეთილგონიერების (2 ტიმ. 1:6-7); ჩვენი გრძნობები – არის მთლიანად სიცორუ; ჩვენ ყოველთვის უნდა გვწამდეს და განვაცხადოთ, რომ ჩვენ ვართ ძლიერები;

რომ ჩვენ სავსე ვართ სიყვარულით, და რომ ჩვენთვის ყველაფერი სრულიად ნათელია; მაშინ ჩვენ შევძლებთ „გავმაგრდეთ და გავმამაცდეთ“ (იესო 6. 1:6) იმ მიზნით, რომ შევიდეთ ყოველისმომცველ ქრისტეში როგორც კეთილი მიწის სინამდვილეში და დაგტკბეთ ასეთი ქრისტეთი.

- თ. ჩვენ არ უნდა გადავუხვიოთ „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“ (მუხ. 7) წმიდა სიტყვიდან ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის ზეციური ხედვის შესახებ, რათა ჩვენ ვიყოთ წარმატებულნი, სადაც არ უნდა წავიდეთ, ვიაროთ ლირსეულად უფლისა „რათა ვასიამოვნოთ ის ყველაფერში“ (კოლ. 1:10); შედეგად ჩვენს გადაყვანამდე ჩვენ შევძლებთ მოვიპოვოთ მოწმობა, რომ ჩვენ ვიყავით „მოსაწონი ღმერთისათვის“, იმის წყალობით, რომ ჩვენ მუდმივად გვწამდა, რომ ღმერთი არის, ხოლო ჩვენ არ ვართ (ებრ. 11:5-6; დაბ. 5:21-24).

III. ნუ გაშორდება ოჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ – დღე და დამე მასზე იფიქრე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩაწერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ წარმატებას და სიკეთეს შენს გზებზე. განა ნაბრძანები არა მაქვს შენთვის, განმტკიცდი და ძლიერი გამხნევდი-მეთქი? ნუ შეძრწუნდები და შეთრთოლდები, რადგან შენთან იქნება უფალი, შენი ღმერთი, ყველგან, სადაც წახვალ!“ – იესო 6. 1:8-9:

- ა. იესო უნდა ყოფილიყო დაკავებული ღმერთის სიტყვით და ნება მიეცა სიტყვისათვის, რომ დაეკავებინა ის (შდრ. კოლ. 3:16); როგორც კი იქნებოდა დაკავებული სიტყვით და აგსებული სიტყვით, მას ექნებოდა კეთილდღეობა და მიაღწევდა წარმატებას ღმერთის მიერ დაპირებული მიწის მოპოვებაში.
- ბ. იესო ნავეს ძის მიერ ყოველივე დაწერილის შესრულების გასაღები ღმერთის სიტყვაში და მისი კეთილდღეობის, წარმატების, სიმაგრისა და სიმამაცის გასაღები ღმერთის მიერ დაპირებული მიწის მოპოვებისას იყო ის, რომ მას არ უნდა მიეცა ნება ღმერთის სიტყვისათვის, რომ მოშორებოდა მის ბაგეს, ეფიქრა მასზე დღე და დამე; სიტყვები „შენი ბაგენი“ გვიჩვენებს, რომ ფიქრი, როგორც წესი, გამოიხატება ხმამაღლა წარმოთქმულ სიტყვებში:
1. ებრაული სიტყვა ნათარგმნი როგორც „ფიქრი“, მდიდარია თავისი მნიშვნელობით; ის გულისხმობს „თაყვანისცემას“, „თავის თავთან საუბარს“ და „ხმამაღლა ლაპარაკს“; სიტყვაზე ფიქრი ნიშნავს სიტყვის ჭამას და სიტყვით ტკბობას ყურადღებით დაფიქრების მეშვეობით – ფსალ. 119:15, 23, 48, 78, 97-100, 148, შდრ. მუხ. 9-11.
 2. სიტყვაზე ფიქრის ნაწილი ასევე შეიძლება იყოს ლოცვა, საკუთარ თავთან ლაპარაკი და უფლის განდიდება; ღმერთის სიტყვაზე ფიქრი – ნიშნავს მისი სიტყვით როგორც მისი სუნთქვით ტკბობას (2 ტიმ. 3:16) და ამის წყალობით ღმერთით ავსებას, ღმერთის ჩასუნთქვას და სულიერი საკვების მიღებას.
 3. სიტყვაზე ფიქრი ნიშნავს „კევის ღეჭვას“, მსგავსად იმისა თუ როგორ ჭამს ძროხა ბალახს (ლევ. 11:3); ღმერთის სიტყვაზე ფიქრისას, ჩვენ ვდებულობთ მას ხანგრძლივი და მრავალჯერადი დაფიქრებით; მსგავსად იმისა როგორც ძროხა ღეჭვას კევს, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს სიტყვის ლოცვით წაკითხვისას დილით, რათა მივიღოთ

საკვები მრავალჯერ დავფიქრდეთ იმაზე, რასაც ჩვენ ვდებულობთ ღმერთის სიტყვიდან.

- გ. მეფსალმუნებ თქვა: „გიფიქრებ შენს დადგენილებებზე და დავუკვირდები შენს გზებს. შენი წესებით გავიხარებ და შენს სიტყვას არ დავივიწყებ“ – ფსალ. 119:15-16:
1. როდესაც მეფსალმუნებ ფიქრობდა ღმერთის სიტყვაზე, ის გახდა მისი სიამოვნება, მისი მხიარულება და მისი სიხარული (იერ. 15:16), და მას არ შეეძლო ღმერთის სიტყვის დავიწყება; შედეგად ის გახდა მისთვის მუდმივი და მარადიული კვება (ფსალ. 119:105, 130).
 2. ღმერთის სიტყვაზე ფიქრისას, ჩვენ ვიხსენებთ ღმერთის სიტყვას და ვცოცხლდებით მისით: „გაუხსენე შენს მსახურს სიტყვა, რომლითაც დამაიმედე. ის არის ჩემი ნუგეში გასაჭირში, რადგან შენმა ნათქვამმა გამომაცოცხლა“ – მუხ. 49-50.
- დ. სიტყვაზე ფიქრი უფრო მდიდარი, ფართო და შინაარსიანია, ვიდრე ლოცვაკითხვა, ვინაიდან ის მოიცავს თავის თავში ლოცვას, თაყვანისცემას, ტკბობას, საუბარს, ქედის მოხრას და იმასაც კი, რომ ჩვენ ადვმართავთ ხელებს, იმ მიზნით, რომ მივიღოთ ღმერთის სიტყვა (მუხ. 48); ადვმართოთ ხელები ღმერთის სიტყვისაკენ – ნიშნავს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ თბილად და სიხარულით ვდებულობთ მას და ვეუბნებით მას „ამინს“ (ნეემ. 8:5-6).
- ე. როდესაც ჩვენ ასე ვეხებით უფლის სიტყვას ჩვენი სულით და ვრჩებით მასთან მუდმივ ურთიერთობაში, ჩვენ უნდა გაგვიჩნდეს გრძნობა, რომ სიტყვა ბიბლიაში გვბანს, გვათბობს, გვაახლებს, გვნამავს და გვამარაგებს ჩვენ; ჩვენ უნდა გავაკეთოთ ერთი რამ, და ეს არის ყველაზე უკეთესი: შევეხოთ მას, თაყვანი ვცეთ მას, გვწამდეს მისი, შევისრუტოთ ის, დავტკბეთ მისით, ვესწარფოთ მას და მოვიპოვოთ ის – ფსალ. 27:4; ფილიპ. 3:8, 14.
- ვ. როდესაც ჩვენ ნამდვილად ვუთმობთ დროს იმას, რომ ვიფიქროთ ღმერთის სიტყვაზე, ჩვენ ვივსებით ღმერთით, რათა ვანათოთ ღმერთი და გამოვასხივოთ ღმერთი (2 კორ. 3:15-18); აი რატომ ვმღერივართ ჩვენ: „უფალთან ილოცე ურთიერთობაში, / იქსოს მზერაში ჩაიძირე, / მისი სახებით ანათე“ (ჰიმნი 528, სტრ. 6).
- ზ. ვინაიდან ჩვენმა უფალმა და ჩვენმა ღმერთმა გვიბრძანა ჩვენ, შევსულიყავით მასში როგორც ყოვლისმომცველი კეთილი მიწის სინამდვილეში და დავმტკბარიყავით მისით, ჩვენ უნდა ვუთხრათ „ამინი“ მის სიტყვას, რათა განვმტკიცდეთ, გავხდეთ მამაცები და არ გვეშინოდეს და არ დავფრთხეთ, რადგან ჩვენთან არის იეჰოვა, ჩვენი ღმერთი, სადაც არ უნდა წავიდეთ, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვხდით მოწაფეებად ყველა ხალხებს, რათა გავხადოთ ისინი სამეფოს ადამიანებად, ამ საუკუნის ბოლომდე, მისი მოსვლის დრომდე – იესო ნ. 1:9; მათე 28:20.